

გაბრუნები

№ 28.

-საღამური

ყოველ-კვირეული იუზორი. ქუჩხალი.


უსაფუკვლო ხმები.



იუსტიციის მინისტრის

გუჯიკოვი. *) ახირებულია სწორეთი ვინ იცის რამდენ კორებს არ ავრცელებენ რუსეთის სატუსალოთა შე-
სახებ! შიკერის ღმერთმანი, სად ხელავენ აქ უწესობასა და შევიწროებას.

*) უვაროვან დეულის გამართვისათვის გუჯიკოვის სატუსალოში ჯდომა გადაუწყვიტენ.



ნემეცყი აუტნ.

გერმანიის რეისტაგის ერთმა დეპუტატმა განაცხადა: იმპერატორს ისეთი ერთგული ჯარი უნდა უყვდეს, რომ როცა მოესურვება ათ გვარდიელს რეისტაგი გაარეკოსო. ამ განცხადებამ დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია, მეტადრე სოციალ-დემოკრატების მხრით.

გერმანიის პურიშკეიქს, გრაფ ოლდენბურგს, ათი გვარდიელით იერიში მიჰქვს რეისტაგზე.

მოქალაქის მოვადეობა *).

შესახებ მადგ. ვოსტორგოვის ბოროტ-მოქმედებისა.
(თარგმნილი „სატირიკონიდან“).

მძიმე დანაშაულობაში საჯაროთ ნამხელი მამა ვოსტორგოვი, ჯერაც არ დაუტუსაღებიათ. ჩვენ სავანგებოთ გავუგზავნეთ სამოსამართლო უწყების წარჩინებულ პირებს „სატირიკონის“ ნომრები, სადაც აღნიშნული იყო მამა ვოსტორგოვის მიერ ჩადენილი ბოროტ-მოქმედებანი, ერთის სიტყვით, აღნუსხული იყო ყველაფერი, რაც ჩვენ ვიცოდით ამ საქმის შესახებ. ჩვენ ამით შეგასრულეთ ჩვენი მოქალაქობრივი მოვალეობა და აღარავის შეუძლია რაიმე ცილი დაგვწამოს. ჩვენ გავაცანით მთავრობის წარმომადგენელთ ის მძიმე დანაშაულობანი მამა ვოსტორგოვისა, რომლის შესახებაც სწერს გახეთი „გალოს რუსსკაია“ და ბ.ნი დურნოვო თავის წიგნაკში.

თითქო, ამ მძიმე მოვალეობის ასრულების შემდეგ, ერთი თავისუფლათ უნდა ამოგვესუნთქა. მაგრამ სად არის თავისუფლება! კერძოთ მე, ამ სტრიქონების დამწერს, არ შემოძლია ჯერ თავი უზრუნველათ ვიგონო. რატომო? იკითხათ. მაშ მომისმინეთ, ვიმჯგლოთ ლოდიკურათ: მამა ვოსტორგოვი დალუბა 7 მოსწავლე ქალი და ჯერაც თავისუფლად დასეირნობს, რა დაუშავდება მას, ასეთი უფლებებით აღჭურვილს, რომ შემოიპაროს ჩემთან ოთახში და დამხარჩოს? ის ასე იმჯგლებს ამ მოქმედების დროს:

— ეჰ, რაკი შეიდი კაცის დალუბა შემჩნა, ამ ერთისათვის ვინ რას გეტყვის!! რა თქმა უნდა არაფერს!

მე მეშინია, მე მიქირს ისეთ ქვეყანაში ცხოვრება, სადაც ჩემგვარივე მოქალაქე ასეთ ბოროტ-მოქმედებას სჩადის და თავისუფალია, რადგან ეს დაუსჯელი ბოროტ-მოქმედება მას მხნეობასა და გაბედულებას აძლევს ხვალ მე დამლუბოს, ზეგ ჩემი შვილები და მეგობრები.

მე. როგორც მართლმადიდებელი, სრულ-უფლებოვანი მოქალაქე რუსეთისა, მივმართავ ჩვენს კეთილ მთავრობას:

— დამისენით განსაცდელისაგან!! დაიფარეთ აგრეთვე საზოგადოება, რომელშია ასე დაუსჯე-

*) ჩვენი რედაქცია, დაპირებისამებრ, ცდილობს აუწყოს ჩვენს მკითხველებს ყოველივე, რაც მამა ვოსტორგოვის შესახებ „სატირიკონში“ დაიბეჭდება. ამასთანავე ცნობები უცვლელათ იქნება გადმოცემული. ამ მოსახრებით. რედაქციამ ერთხმათ უარყო ბ.ნი ეშმაკის მიერ შემოტანილი შესწორება, რომ „ჟურნალისტის“ წერილებს სთაური შეეცვალოს და დაეწეროს:

„ხმა მღალაღმადლისა უდაბნოსა შინა“.
პატივ. „მთრ.-სალ.“ რედაქცია.

ლათ დანაშარდობს კრავის ქურქში გახვეული მტაცებელი მგელი. დაიჭირეთ, დაამწყვდიეთ ის! გამოიძიეთ მისი დანაშაულობანი! ღვთის გულისათვის დაამშვიდეთ ჩვენი, თქვენდამი სასოებით მოპყრობილი, თვალები, ჩვენი გული, ჩვენი გონება!

შეიძლება საერო სამოსამართლო უწყება იმით არაფერს ამბობს, რომ საქმის გამოძიების ინიციატივა სასულიერო უწყების საქმეაო, რამეთუ დამნაშავე ვოსტორგოვი ჯერაც მღვდლის ანაფორაშია გახვეული. ეს მე არ ვიცი, შეიძლება ეს მართაც ეგრე იყოს!

და თუ ეს ეგრეა, უმორჩილესათა და გულწრფელი თხოვნით მივმართავ სასულიერო მთავრობას დ მორწმუნე მართლმადიდებელის მორჩილებით ვაუწყებ:

„რომ ერთმა მოძღვართაგანმა, მამა ვოსტორგოვი, თავისი სამღვდლო სამოსელი უმანკო ბავშვთა სისხლით შეღება (იხილეთ დურნოვოს წიგნაკი!) ღვთის გულისათვის, გამოიძიეთ ეგ საზარელი საქმე! ჩვენ არა ვთხოვლობთ მამა ვოსტორგოვის დასჯას; ჩვენ გვედრებით მხოლოდ საქმის გამოძიებას და მით, დათრგუნვილი ქეშპარიტების აღდგენა-განსპეტაკებას.

ჟურნალისტი“.

(„სატირიკონი“ № 35.)

ვინ გაიმარჯვდა?

„წესიერების“ დარაჯი, მცველი,
ხოლერას შეხვდა
პოლიციელი.
სალამი უძღვნა ძმური, გულწრფელი,
ამხანაგურათ
მოხვია ხელი
და ეშხმან მისმან რა გაავიჯა,
სარდაფისაკენ
ჩაიპატიუა.

გულს გული იცნობს
და ღონეს ღონე...
აკურთხოს ღმერთმა
მათი მომგონე!!!

სარდაფის პატრონს
წაუხდა ფერი:
სიბინძურისა და „ოტკის“ მტერი
როცა იხილა
ძირს ჩამავალი...
გულში კიდევაც ლანძღა მრავალი,
მაგრამ ეს საქმეს
რას უშველიდა?
ორი სტუმარი დიდ ძალას ქმნიდა!!.

მოუსხდენ სუფრას
 ვითა მტრედები...
 (პატივდებისა აქვთ იმედები!!!)
 და იწყეს ბჰობა
 პოლიტიკური:
 თუ რომელ მათგანს რა სამსახური
 მიუძღვის მშობელ
 ხალხის წინაშე...
 (პატრიოტები არიან მლაშე!!)
 — მიკვირს... პეტერბურგს
 რათ დაეხსენიო,
 ამ ზინძურ ქალაქს სად მოაგენიო?
 პოლიციელმა
 ჰკითხა ხოლერას...
 (თან დახლიდარსა გასტყორცნის ბღვერას,
 რამეთუ ამა ფლიდს,
 გაიძვერას,
 თუ არ მუქარით გამოსტყოვს ვერას!!)
 — ეჰ, საყვარელო
 და გულის სწორო,
 „სამხედრო წესის“ ბრძენო ავტორო!
 განა არ იცი რომ „ოკრაინებს“
 „ცენტრის“ მუქარა აღარ აშინებს??
 სირცხვილიც იყო,
 ჩვენ ჩვენი ძალა
 მარტო ნევაზე გადაგვეშალა.
 რას ამბობ, კაცო,
 ჩვენს წინაპარებს
 ხოლერის მოღმის
 სხვა და სხვა გვარებს,
 აზიის გულში ედგათ აკვანი
 სამოთხის დარი
 და მისამგენი.
 ამასთანავე უნდა გაუწყო,
 რომ არც აქა ვართ
 იმდენათ უცხო.
 ამ ოციოდე წლებისა წინათ,
 წინაპარებს ჩვენსას
 აქ მოვლხინათ...
 აქ ხალხი ცხოვრობს სტუმართ-მოყვარე
 და მეც ამიტომ
 გამოვჩქარე!
 — დიჯხანს დარჩები აქ, მეგობარო?
 შიგირდათ მინდა
 ჩამოგებარო...
 შენ უკეთ მუსრავ და აჩანაგებ...
 ქვეშევრდომებსა
 უკეთ განაგებ!..
 — წახდა დროება, ჩემო კეთილო!
 დღეს მე შენ
 ველარ შემოგეცილო,—
 მუსრის ვლებასა და წვალებაში

დღეს შენ უდგებარ
 ცხოვრებას თავში.
 ძველათ ვერ მტრობდენ
 ვერც ექიმები,
 (დღეს თითქო ზეცით განაწვიმები...)
 ვერც გაზეთები,
 ვერც ჟურნალები,
 (ასე უღმერთოთ განაშრავლები).
 სწერენ „მოხარულ“
 და „ნაღულ“ წყალზე
 ვკითხულობ, კრემლი მადგება თვალზე!
 — ნუ თუ გაზეთებს
 ვერ გაუმკლავდი?
 გეთქვა და ყველას ერთ დღეს მოვკლავდი.
 უნდა გამოვტყდე
 და გითხრა ესა,
 რომ სიყრმიდანვე არ მიყვარს „პრესსა“.
 მითზე ხელიც მაქვს
 გამონაცადი.
 აღარ დავტოვე კაცი კაცადი
 და თუ კი ვინმე
 კვალად ჩანჩალებს
 ის მხოლოთ მკითხველს სტანჯავს, აწვალებს
 — განა მარტოკა
 პრესსა მაწუხებს?!..
 ვაუძლებ იმათ მწვავე მარწუხებს,
 მაგრამ რა ვუყო
 ამ სანიტარებს?
 სიცოცხლეს მისპობს, ყოფას მიმწარებს.
 ნეტა რა უნდათ
 მაგ დალოცვილებს?
 ლაფში ახრჩობდენ ცოლებს და შვილებს,
 რომ არ ენახათ
 ჩემი აჩრდილი,
 რომ არ დამეფრთხო იმათთვის ძილი
 — მაკვირვებს სწორეთ
 შენი სიმხდალე!!
 ნუ თუ ამდენ ხანს ვერ დაისწავლე
 სანიტარების
 ოინბაზობა:
 ძილში სიმარჯვე, საქმით ნაზობა?
 და თუ ხელს მაინც
 ასავსავებენ,
 ეგ მხოლოთ კასებს ასუფთავებენ.
 — კი. მაგრამ, აგერ,
 დიდებულ გვამებს,
 ეგრედ წოდებულ „ქალაქის მამებს“
 „საჩაიებით“ მოაქვთ ერიში
 და ნუ შექნება
 იმათი შიში?
 — ოჰ, ვიცი მათი
 ავან-ჩავანი,
 როგორაც რომა, კატა მჩხავანი

ცნობილი არის
 თავის ვერ დაიქვრს...
 ნურც შენ უფრთხიხარ
 მაგ დიდებულ მტერს .
 ახლა ეს მითხარ, ძმობას გაფიცებ,
 როგორა ჯღღავ
 ხალხს ვგრე უტებ?
 ჩვენ, ჯერ დავიქვრთ „საეკვო პირებს“,
 და თუ გაქცევას
 ის დააპირებს,
 მაშინ მივმართავთ სხვა „აშვალეზას
 ვერ ვაბატიებთ
 ჩვენს გაწვალებს. .
 (აქ მან იმგვარათ
 ჩაიხიხითთა,
 ისეთი ურცხვი,
 ჯემები ხმითა,
 რომ ხოლერასაც
 ფერი ეცვალა...
 დიდია, ზოგჯერ, სიცილის ძალა!)
 თუ კი გაქცევა
 არ განიზრახა
 და ციხის კარი ცოცხლითვე ნახა,
 იქ გვეყოლება
 გამომწყვდეული,
 ვიდრემდის ღონე გამოლოებული
 ჩვენსა საწჯავროს
 არ წარუდგება...
 შემდეგ . ვინ იცის რა გადახდება.
 — ჩვენ კი „საეკვო“
 პირებს არ ვდევნით ..
 მაგრამ თქვენებურ ექიმთ შეწვევით
 ისინიც ხშირათ
 იტანჯებიან:
 ჩვენს „ბარაკებში“ ბლომათ წვეებიან
 ნახვენ ვისმე
 (ქუჩად მდებარეს,
 სიმთვრალით გზისა ვერ გამგებარეს
 და მოჰყავთ ჩემთან
 იქ, ბარაკებში,
 თითქო გზავნიდენ აგარაკებში!
 ჩვენ სამართალი
 საჩქარო ვიცით,
 და ვექილებით, უფიც-ნაფიცით
 არავის ვტანჯავთ,
 არვის ვაშწარებთ
 და განაჩენსაც ერთობ ვაჩქარებთ.
 — ნეტა ვიცოდენ
 თქვენი ღვაწლები
 ჩვენზე მეტია, თუ დანაკლები?
 (პოლიციელმა
 ჭკითხა შიკრძალვით

და თან, არაყიც
 გადაჰკრა მალვით).
 ხოლერა გახლდათ ერთობ მკევეხარა,
 და მტრის წინ ქედი რომ მოეხარა
 არ იკადრებდა,
 ხათრს არ დანდებდა...
 — რას ამბობ, კაცო!
 ჩვენს, უჩინარებს,
 დაუღალავსა და ძლიერ ჯარებს
 თქვენი შტატები
 სად შეედრება???
 ეგ სიბრიყვეა და უმეტრება!
 — თვით უმეტარი
 და უგუნური!!
 ჩაგირგავს გულში ღვარძლი და შური
 ჩვენი დიდი
 მოღვაწეობის:
 ფაქიზი საქმის,
 წმინდა ზნეობის
 და აღარ იცი რით რა გვაწყინო
 ცდილობ სახელიც
 კი შეგვიგინო!.
 უცხო ქვეყნიდან გადმონახვეწავს,
 თვალთ უჩინარს,
 ბოროტსა და ავს,
 ჩვენს სამშობლოში ვინ მოგცა ბინა,
 პატრიოტებში
 ჩაგრიცხა ვინა???
 შენ ვის უბედავ... ისე და ასე...
 (აქ, უცენზურო
 აზრით აღსავსე
 აღმოხდა იმა
 პოლიციელსა,
 თან სავარჯიშოთ მოზიდავს ხელსა!))
 ხოლერაც ცელით
 წამოიშართა,
 და იქ, სარდაფში მსწრაფელ გაიშართა
 მოძმეთა შორის
 ბრძოლა საზარი...
 მუნ მოიკრიფა მთელი ბაზარი! ..
 —
 დიდხანს ვაგრძელდა
 ეგ ჯალადირი,
 და ბოლოს, როგორც
 „საეკვო პირი“,
 ფრიად ნაგვემი
 და ცოცხალ-მკვდარი
 მიჰყავდათ სადღაც ..
 ვინ?
 დახლიდარი!..
 (თურმე გაბრიყვდა წყალ წალბეული
 და მებრძოლ პირებს მოსთხოვა ფული!)
 ეშმაკი.

ს ი მ ე რ ა .

კრემლი ვარ მაღალ,
პიტალო კლდისა,
ნაყოფი სვედის,
მწარე ფიქრისა...

* *

ხომ კი გინახავთ მთისა მწვერვალი
შემობურვილი შავი ღრუბლებით?
მას ზაღლით დაცქერს ლაქვარდი ცისა
ვანათებული მზისა სხივებით!..

—

და აჰ, მასაც სურს, ტანჯულს, წამებულს
უსაზღვრო სივრცეს თვალი მოავლოს.
ჩაიკრას გულში მზისა სხივები
და იკისკისოს, იმზიარულოს.

—

მაგრამ ღრუბლები, შავი ღრუბლები
არ სცილდებიან, წამითაც, ბეჩავს.
საედა-ნადღველი უღრღნიან გულსა
და განუწყვეტლივ, საბრალო, გმინავს.

* *

ოჰ, მე კრემლი ვარ
იმ ნაპრალ კლდისა,
ნაყოფი სვედის
მწარე ფიქრისა.

...ილ. რუხაძე.

დაუჯერებელი აძხავი!

(*აზურგუიის ცხოვრებიდან*)

— კი, მაგრამ შენ რომ წერა არ იცი?

— ეგ სულ ერთია!.. წერა რომ არ ვიცი იმი-
ტომ ჩამრიცხა საექვო პირებში, თორემ რა მცოდ-
ნოდა ახლა ქუთაისის ციხეში ვიქნებოდი... ერთი
სიტყვით პატიოსნებას გაფიცებ არაფერი დასწერო
ამის შესახებ.

— ღმერთმანი ვერაფერი გამიგია! კაცი არ კი-
თხულობდეს ვინ დასწერა, რატომ დასწერა, ისე,
შხოლოდ მარტო ექვებით იქერდენ?

— გაუგებარი აქ სულოც არაფერია. მე დანა-
დვილებით ვიცი, რომ ახლა ამ ჩვენს ოზურგეთზე
ვინმემ რამე დასწეროს, მაშინვე მე დამიჭერენ.

— რაც გინდა ამიხსნა, ამას მაინც ვერ გავი-
კებ, ეს დაუჯერებელია.

— დაუჯერებელი რატომაა შე კაი კაცო? აი
მე ერთი კარიკატურის ამბავს გეტყვი, თუ გინდა.
იქედან დანახავ, რომ ასეთი აძხავი მარტო ოზურ-
გეთში არ ხდება, არამედ სხვაგანაც.

„ერთმა გენერალ გუბერნატორმა, არ ვიცი
ტოლმაჩვეი იყო, თუ ღუმბაძე, ბრძანება გამოსცა:
ჩემს საგენერალ-გუბერნატოროში უთუოდ ყველა
აქლემები უნდა დაქედილი იყოსო. ქვეყანა გააოცა

ამ აძხავმა, მაგრამ აბა ვინ რას გახდებოდა, ბრძა-
ნების წინააღმდეგ ვინ წავილოდა? ბევრ აქლემს
დააკრეს თურმე ნალები, მაგრამ ბევრმა თავს უშვე-
ლა და უცხოეთში გადახვეწა ამჯობინა.

უცხოელებს სულაც არ გაუკვირდათ ასეთი
ბრძანების შემდეგ აქლემების გადახვეწა, მაგრამ მათ
განკვიფრებას საზღვარი აღარ ჰქონდა, როცა აქლე-
მებთან ერთად შეშინებული კურდღელიც გადავიდა
საზღვარზე. დაიჭირეს კურდღელი და ჰკითხეს:

— შენ რაღას გამოგობოდი სამშობლო საგენე-
რალ-გუბერნატოროდანო!

კურდღელმა სწრაფათ უპასუხა:
— როგორ თუ რას გამოგობოდი? განა არ
იცი, რომ ჩემს სამშობლოში აქლემებსა სქედ-
ვენ?..

— ვიცით რომ აქლემებსა სქედვენ, მაგრამ
შენ ხომ კურდღელი ხარ და აი ამიტომაც გეკითხე-
ბითო.

— ეჰ, თქვე დალოცვილებო, დაგიქერენ, დაგ-
ქედენ და მერე შენ უმტკიცე იმათ, რომ კურდღე-
ლი ხარ და არა აქლემი“!

ახლა მოდი შენ და ჩვენს ოზურგეთლებს გა-
უმტყუნე რამე, როცა ადგილობრივ კორესპონდენ-
ციის დაბეჭდვის შემდეგ შიშის ქარი უვლით ხოლ-
მე! კურდღლისა და აქლემის არ იყოს, სამი თვით
ციხეში მიგაბრძანებენ და შეშდეგ უმტკიცე შენ,
რომ წერა კითხვა არ იცი, რომ კორესპონდენტი
შენს სიცოცხლეში არა ყოფილხარ!

— მაშ შენი აზრით ოზურგეთიდან კორეს-
პონდენცია ვეღარ დაწერილა კურნალ გაზეთებში!..
ეს იმასა გავს, ვილაცამ მგლის შიშით ცხვრები გას-
წყვიტაო. აი მე თითონ დაწერ, მე ხომ უცხო
პირი ვარ და თქვენ აღარას გეტყვიან.

— შენი ჭირიმე! შენი ღვთის გულისათვის
ყელს ნუ გამომჭირი!.. წვირილ შვილი კაცი ვარ,
ორი ბიჭი სკოლაში დამიდის, ოთხი სახლში მყავს
სარჩენი. აბა დაუფიქრდი, განა მაღლი იქნება იმა-
თი ულუკაპაპურით დაყრა? ნუ, ნუ წენი ღვთის
გულსათვის! ვინ დაუწყებს იმას ძიებას, რომ შენ
შენ ხარ და არა მე? მე დამქედენ შენს მაგივრათ
და ნუ მიზამ ამ საშიშარ საქმეს. იქნება მე შემტე-
რები რასმე, მაგრამ ჩემს პატარაებს ხომ არაფერი
დაუშავებიათ შენთვის?

— კარგი, მეგობარო, მაგრამ ნუ თუ არა
გრცხვენია შენი ოჯახის ინტერესებს რო საზოგადო
ინტერესებზე მაღლა აყენებ?

— როგორ, როგორ თუ ჩემი ოჯახის ინტე-
რესს? სრულიადაც არა! მე შენ გარწმუნებ, რომ
ის, რასაც მე გთხოვ, საზოგადო ინტერესი უფროა
ვიდრე ჩემი კერძო.

— ეგ როგორ? ვერ გამიგია!..

— როგორ და ისე, რომ ჩემს ვარდა ბევრნი

არიან ასეთ ყოფაში. არა თუ ბევრნი, თითქმის ყველანი. მე მხოლოდ პირველ რიგში ვარ ჩარიცხული, თორემ უზრუნველ ყოფილი არც სხვები არიან. ჩემი თხოვნა მთელი ქალაქის მცხოვრებთა თხოვნაა. დაგვდევინებ უბრალო ხათრი, შედი ჩვენს მდგომარეობაში და ნუ დასწერ ჩვენი ქალაქის რაინდებზე ნურაფერს. ნუ ჩაგვეყრი ცოდვის დღეში.

აქ ის მდულარე ცრემლებით დაინაშა და კი ნალამ ხელზე შეამბორა ჩემში გაიღვიძა ლმობიერების გრძნობამ და ხელი ავიღე ოზურგეთში გამართულ წარმოდგენის შესახებ რეცენზიის წერას.

არ ვიცი რამდენათ სამართლიანია ჩემი მოქმედება, და ჩემი იმიტომ, რომ სხვების სამართლიანობაზე ლაპარაკი პრესაში აკრძალულია. მე მგონია მკითხველი არ გამიმტყუნებს ასეთ საქციელს! ხუმრობა არის მთელი სამაზრო ქალაქის მცხოვრებთა ასეთ ხიფათში ჩავდება?

ყარყუმა.

დამნაშავენი.

(ბრკადი აგერჩენასი).

ბოქაული (ქართულათ პრისტავი) კუდაბიკაძე გააღვიძეს და მოახსენეს, რომ დარაჯებმა მოიყვანეს ორი ტუსადი: საშა ქობზარჯაძე და ერთი უცნობი, რომელიც არ ამხელს თავის ვინაობას.

აგზანენიდა რა ტყვეებს, სოფლას მწერალი მოხსენებაში ატყობინებდა ბოქაულს, რომ „ისინი დაიჭირეს იმ საგნისა გამო დანაშაულისა, რომელი არ აქვს უფლება ჩაიდინოს მოქალაქემ“.

გარდა ამისა იგივე მწერალი შემდეგ უბრალო აღმანიერი ვნით იწერებოდა, რომ ტუსადები იქცეოდნენ ყოვლათ უმსგავსოთ. მაგ. ქობზარჯაძე მამულის მოიჯარადრე ებრაელ ზალკინს შეუფარდა, მიღწე-მოღწეა ყველაფერი, ტაფის ტარით მიბეკვა ებრაელის ცოლი და მის შვილს ყური მოაგლიჯა. როცა ის მიიყვანეს კანცელარიაში, სცემა მამასახლისის, კანცელარის დარაჯს ჩაადებინა ორი კბილი და შეეცადა თვით მწერლის ხელის შეხებას.

მოგლევადი ყური და ჩაგდებული კბილები, შეხვეული სისხლიან მწვარში, ამასთანავე იყო წარმოდგენილი.

მეორე უცნობი იმაში იყო მტყუნანი, რომ მან როცა ბოსტანში შეიპყრე, არ დაასახელა თავისი სახელი და გვარი, გაჩხრეკის დროს უპოვნეს ერთი შეკვრა პროკლამაცია, ბომბი და ყალბი ქერა წვერები.

ბოქაულმა წაიკითხა რა ქალაღი დაუსტენია, მოიფხანა გაბარსული ყბა და წაიდუღუნა:

აი გაიძვერები!

ბოქაულის სახეზე ძნელი გამოსაცნობი იყო, თუ რა უფრო აწუხებდა მას: დარაჯები, რომელსაც ძილი დაუფრთხეს, საშა ქობზარჯაძე, რომელმაც მოიჯარადრის ბავშვს ყური მოაგლიჯა, თუ უცნობი, რომელიც საიდუმლოთ საშიშარ საქმეს ეპირებოდა.

გამოაღო კანცელიარიის კარები და დაუყვირა დარაჯს—შემოიყვანეთ რიგ რიგობით!

ოთახში შემოვიდა მაღალი, შავი გლენი, მოკლე ტანისამოსიანი, წვრილ თვალი. თმა მოშვეშული ის გაჩერდა სტოლთან, დაღვრემილმა დაუწყაო ცქერა თავის მარცხენა ფეხს, რომელზედაც დახეული წალა ეცვა.

— ბოქაული მსწრაფლ მიუახლოვდა, აუწია მაღლა თავი და დაუყვირა.

— ყოჩაღ! ყოჩაღ, შენ ეი ქობზარჯაძე, ამიერიდან შენ ქობზარჯაძე აღარ იქნები არამედ... იქნები მუტრუკაძე. ასეთი მასხრობით ბოქაული თავის თავის კმაყოფილი დარჩა. შემდეგ ის შეუდგა საქმეს.

— შენზე მომახსენებენ, რომ შენ მოიჯარადრე დაგირბევია, მისი შვილისათვის ყური დაგიგლეჯია, დარიჯისათვის კბილები დაგიძვრია სიმართლეა ყველა ეს?

— დიახ სიმართლეა!

— მოდი უტურე, კიდევაც რომ გამოტყდა — მერე რა დაგიშავა მოიჯარადრემ?

გლენმა ყურადღებით აათვალიერ-ჩაათვალიერა ბოქაული და მოახსენა:

— მე ურიებს ყოველთვინ ვცემ!

— მერე რისთვის სცემ?

— ურიებმა ქრისტე აწამეს, ამასთან მთავრობას პატივს არ სცემენ. მე უფრო იმიტომ ვცემ, რომ მთავრობას პატივს არ სცემენ—არ ერიდებიან.

— ჰმ, დიახ! (ცოტათი მოღბა ბოქაული) მაგრამ ცემის ნება შენ მაინც არა გაქვს

— დიახ, როგორ არა! გლენმა ხელები გაშალა, მე ვეუბნები მათ, დაიცათ ცოტა, გვადროყეთ ბატონი გუბერნატორი ყველას ჩამოგახრჩობს მეთქი, ის კი, მოიჯარადრე ურია, მეუბნება—რა დიდი ვინმე გგონია თქვენი გუბერნატორი? მე მას სამ ნაწილად ვიყიდო!

— დავიჯერო აგრე თქვა?

— სწორეთ—ქეშარიტათ ვგრე! მე უთხარი დაიცა ბატონი ბოქაული გაიგებს შენ რაც სთქვი მეთქი. მერე იცით რა მითხრა: გუბერნატორს თუ სამ მანეთად ვიყიდი, მაშინ ბოქაულში ათ შაურის მეტს არ მივცემო.

აა .. მაშ ვგრე მეთქი ვეუბნები...

ბოქაულს გაეცინა.

— ხოდა მაშ შენ მის შვილს ააგლიჯე ყურები?

— დიახ, სწორეთ, მართლად ბრძანებთ. იმი-

სათვის, რომ მე აგრე ვსჯი: თუ შენ შეურაცხავ ჩემი მთავრობა, ბატონი პრისთავი, მე ნება მაქვს შენს ლეკვს ყურები დაეაგლიჯო ქეშმარიტათ მაქვს ამისი უფლება!

— ხა, ხა! აა შენ გიქო, შენა! მოიჯარადრის ცოლს რაღას ერჩილი?

— მან, თქვენო მაღალ კეთილშობილებავ თქვენი მეუღლე მოიხსენია ურიგოთ.

— რაიო! ალმაკერათ გაიღმა ბოქაული. ამის შესახებ ჩვენ გამოვკითხავთ მოიჯარადრის ცოლს, მაგრამ ეს კი არ არის კარგი, ჩემო ძმაო, მამასახლისი რომ შეურაცხვე და დარაჯს კბილები დააძვრე?

— მე იმათ ვეუბნები: როგორ ბედავთ ჩემს დაქვრას მე ბატონ ბოქაულს გამოვექომავე მეტკი, ისინი კი მეუბნებიან—მერე რაო, რას გვაშინებ, რა დიდი ზობოლა გგონია შენი პრისთავიო. ნე ბრა ზისკან თვალი დამიხნელდა, გავშალე ხელები და მიესცხე.

— ხა, ხა! ხა, ხა! როგორც ვხედავ, შენ სულელი არ ყოფილხარ, გკოდნია კანონები. მართალია, ეს საქმე ძრიელ სამწელოა, მარა მინც უნდა მოვსპო. წადი ქობზარჯგაძე, წადი! მაგრამ დაიცა! არაყს, რასაკვირველია, სვამ?

ბოქაულმა ჯიბიდან ამოიღო ათ შაურიანი და მისცა საშას.

— წაიღე, ძმაო, საღმე გადაჭკრავ?

— ქეშმარიტათ გადავკრავ, თქვენო კეთილშობილებავ! მე წაღების შესახებ მინდოდა შემეწუხებინეთ, ძლიერ გამიცვდა ეს ოხრები—იქნებ გქონდეთ თქვენო მაღალ კეთილშობილებავ?

— კეთილი, რა მზიარული ბიჭი ყოფილხარ! მე შენ ჩემს წაღებს მოგცემ, მართალია ნახმარია, მაგრამ არა უშავს—მაშ შენ იმას ტაუვის ტარით მისცხე არა?!

— დიხაც რომ მოვსცხე, ვგრე ეკადრებოდა და მიესცხე!

ბოქაული გვიდა საწოლ ოთახში და გამოიტანა წაღები.

— აი ძმაო, წაიღე და წადი!

— თქვენო მაღალ კეთილშობილებავ იქნებ პალტოც...

— ოი, ოი, გეყოფა ძმაო გეყოფა, თავს ნუ გახვალ? ეი პართენ! ეს გაუშვი წავიდეს. მშვიდობით! შემოიყვანე მეორე მშვიდობით ქობზარჯგაძე მაშ ვგრე აჰ, ზობოლაო აჰ, ხა-ხა ხა-ხა!

მშვიდობით თქვენო მაღალ კეთილშობილებავ, მერმე უფრო სასაცილო იქნება..

II

დარაჯმა შემოიყვანა მეორე ტუსადი. წესრიგისათვის წაუთავაზა გვერდში მუჯღუგუნნი და მიუტოვა ბოქაულს.

— ოჰო, შავარდენმა, იფრინ-ინავარდა, მაგრამ

დანაბოლოს ბრკეალი მოიტეხა. დიდი ხანია არ მქონია ბედნიერება მენახა თქვენები, როგორ თქვენ და თქვენი ერფრუტსკის პროგრამა?

ბოქაულის წინ იღვა პატარა ტანის, ჩამკვრივებული, ჯოჯგვი გლეხი, თავზე გაცვეთილი „ყოკეს“ ქულით. მას თავი დაბლა ჰქონდა დახრილი და მღუმარეთ უსმენდა ბოქაულს

— თქვენი სოციალური მდგომარეობის შესახებ ზედმეტია ლაპარაკი, „ნიტრო გლიცერინ, ლიდლიც, მელენიტ, ბიკვორდოვ შნუროკ და სხვა ასეთები. ბოქაულმა კილო გამოიცვალა, ზოღუშა წარბები და ჰკითხა:

ამხანაგები და მოკავშირენი გყავს?
— არა! წყნარად მიუყო გლეხმა.

— რასაკვირველია, მეც აგრე ვფიქრობდი. რაო ეხლა ბ-ნო ძველის დამწგრეველო და ახლის ამშენებელო, მხეცი ბრძანდებით მაგრამ წითელი უექველია, ჩვენ მოგვიწევს ქალაქში ერთად გასეირნება.

— მე ეს არის ქალაქიდან მოვდივარ.
— მართლა! მერე როძელმა ქარმა ჩავაგდო „სინიუხინის“ ბოსტანში.

— მე რა მესაქმებოდა, თქვენო მაღალკეთილშობილებავ სინიუხინის ბოსტანში, მე „ბორკინოს“ გზით მოვდიოდი.

— მაშ მამასახლისმა და მწერალმა ცილი დაგწამეს, მოვიგონეს, რაღა? ა ყოჩაღ!

— ეშმაკმა მომტეხოს კისერი თუ სიმართლეს არ ვამბობდემ!..

— რას ამბობ! პირველათ მესმის ამ ვაჭბატონის (ეშმაკის) თქვენს ორგანიზაციაში მონაწილეობა ნუ გეშინიათ სხვის სასიკვდილოთ საკუთარის განძახებით კი არ მიდიოდით ვინმე კონსპირაციულათ დაგაბეზღებდათ.

— არავითარი სიკვდილი არ მინდოდა ისე შემეშინებია მინდოდა.

— რასაკვირველია—გაუგორებ ფეხებ ქვეშ და მეტი არაფერი, ცოტა სუბუქათ ნერვების არე და რევა მოხდება ხა-ხა, თქვენი პოლიტიკური პლატფორმა რასაკვირველია აღიარებს ზოყვასთა სიყვარულს, სულგრძელობას. რას გაჩუმი?

უცნობი ერთი ნაბიჯით წინ წაღვა და მოახსენა.

— მთვრალი ვიხელი!
— რაო??

— მე მთვრალი ვიყავი და იმათ თივაში ექესი შაური მოხოვეს, განა ეს შესაძლებელია.

— რა თივა? რას ამბობ?

— იმათი თივა. მე იმათ ვეუბნები, ღმერთი არა გრწამთ? გვრწამს მარა ვინაგარიშოთ „ვასკას“ (ცხენის სახელია) არ დაგანებებთო.

— ვერაფერი ვერ გავიგე რა ვასკაა?

ბ
— ჩე რევესკის, ჩეგრევსკის ვასკაზე ვიჯექი— მართმედენ და ძრიელ მეწყინა. მეც, გაჯავრებულ-
ნა, დაღმუჭრე ჰდღერს აგადენტ მეთქი.

— დაიცა, დაიცა მეგობარო ვის უთხარი არ
მესმის?

— ვისა და მოიჯარადრეს?

— მერე აქ ბომბა რა შუაშია?

— ბომბა არაფერში!

— აბა რა ეშმაკათ ურევ ერთმანეთში, მოი-
ჯარადრესა და ბომბას ბომბა ვისგან წამოიღე!

— არავისგან თქვენო მაღალ კეთილშობილე-
ბავ, სხვისი რათ გვინდოდა.

ბოქაული გაუთორდა

— შენ ვინა ხარ?

— მეც ჩეგრევსკის ვარ - ისინი მეუბნებიან
ექვს შაურს ჩამოდიო. მე ვეუბნები, სად არის ისე-
თი კანონი დამპალ თივაში ექვსი შაური გადამა-
ხდევინოთ მეთქი შეყვევით და ხომ მოგეხსენებათ
მთვრალის ამბავი.

— შენ ჩემო ძმაო კუდს რას მაღავ, რა გი-
ყობანას თამაშობ

— გიგი გახლავარ შენი ჰირიმე, აბა რომელი
ქუიანი დააგლეჯს ურის ბავშვებს ყურებს? სიმ-
თვრალით მომივიდა, ცოტა ხელიც მქაეა და რაკი
ერთი ავიწყვიტე თავი ვერ შევიმაგრე.

— ბოქაული წამოხტა გლეხთან მიიქრა, კი-
სერში წაუქირა ხელი და ჰკითხა:

— შენ, შენ, შენ რა გქვია?

— მენა საშას მეძახიან შენი კენესამე— ჩეგო-
რეეთან ვარ კალოზე. საშა ქოხბარჯგაძე გახლა-
ვარ.


ბოქაულმა საშას ხელი უშვა და გარეთ გამო-
ვარდა.

— წავიდა გაუშვეს ის ავაზაკი ის!

საშა მარტო დარჩა მიაცქერდა მოვარაყებულ
ჩარჩოში ჩასმულ სურათს და სთქვა.

— არ დავლევ არაფერი, დავლევ და მაშინვე
აღტაცებაში მოვდივარ. თავს ვეღარ ვიქერ, იმას ყუ-
რი დავაგლიჯე, იმას კბილები დავაძრე. აგრე არ
იქნება ჩემო ძმაო საშა, ურის ბავშვებს დედები
შენდა ყურის საგლეჯათ აღარ ზრდიან.

ანწლადი.



ბიბლიოგრაფია.

ბუნების საკვირველთა,

ანუ

„ბუნება მართული ენის შენობისა“,

ანუ

„საბრამატიკო წერილები სამასალოდ“.

ანუ

„ლონ“-ისა და „თან“-ის ჩხუბი.

შედგენილი ქულებურ ეაიდაზე საისტორიო
ღრამტიკოსის მ. ქ. ჟიუიანის მიერ

წიგნაკი, რომელიც ამა წლის 28 თებერვლის
თარიღით გამოვიდა მადათოვის კუნძულზე მდებარე
მ. გაჩეჩილიძის „სოკრანდიან“, წარმოადგენს ისეთს
საკვირველებას ქართული ენის სიძველისას, რომ-
ელსაც დღეს მცხოვრებთა შორის ვერავინ სიზმრა-
თაც ვერ წარმოიდგენდა

როგორც ზემოთ აღნიშნულ სათაურდიან
სჩანს, წიგნაკი ესე შეეხება ქართული ენის ბუნებ-
რივ შენობას და წარმოადგენს სამასალო წერილებს
სა-„ლონ“ და „თან“ ისტორიისას ამისათვის ნე-
ბას ვაძღვე ჩემს თავს განვიხილო ეს ღირს-შესანიშ-
ნავი ნაწარმოები არა მარტო ღრამტიკულის, არამედ
აგრეთვე იუმორისტული თვალთა ხედვის ისრის
უმწვერვალესი წერტილიდან.

არავისათვის საეჭვო აღარ არის, რომ ქარ-
თულ ლიტერატურაში სამკვდრო-სასიცოცხლოდ
იბრძვიან სხვა და სხვა ასოები, რომელთა შორის
უფრო თვალსაჩინო გვირებათ „ღ“ და „თ“ ითვ-
ლებიან.

ბ-ნი „თანის“, რომელსაც წინამძღვრობს ქუ-
თათური პედაგოგი სილოვან ხუნდაძე, ებრძვის
„ლონს“, ებრძვის სასტიკათ და დაუნდობლათ.
მას სურს განდევნოს „ლონი“ ხსენება თვით იმ
სიმაგრეიდანაც კი, რომელსაც ეწოდება „განვითარე-
ბითი“ ბრუნვა.

დღევანდლამდე არავინ იცოდა, თუ ვინ წი-
ნამძღვრობდა ბატონ „ლონისტებს“, იცოდენ მხო-
ლოდ ის, რომ „ლონისტთა“ რიცხვი ერთობ შემ-
ცირდა და „განვითარებითი“ ბრუნვის საბედისწერო
ჩარხმა უკულმა იწყო ბრუნვა. დღეს კი ბრმათათვი-
საც აშკარა არის, რომ „თან ღონისტთა“ ბრძო-
ლაში ახალი ხანა იწყება, რომ „ლონისტებს“
გამოუჩნდა ძლიერი წინამძღვარი, ანუ ბელადი,
სახელდობრ: მ. ქ. ც. ღიჯინა.

ამ წერილში ჩვენ განვიხილავთ „ნაწარმოე-
ბის“ მხოლოდ წინასიტყვაობას, საიდანაც აშკარათ
გამოჩნდება იუმორისტული ღირებულება ბ-ნი ცი-
ფიანის შენობისა.

კახოვთ მოთმინებით მოისმინოთ ყოველივე აქ ამოწერილი და კითხვის დროს უფროსილდეთ ენის წაბორძიკებას.

„წილად გამოცემა ჩემის შრომისა ვერ შევსძლებ: ჯერ ერთი, რომ ძვირად ჰჯდება, და ერთი-მეორე ხარჯის გაწევას ვერ მოვახერხებდი, მეორე, რომ მკოდნე კაცს ვერავის გაეპოინჯე, მესამე . ის“ არის რომ ჩემმა ხნის კაცი უნდა მოეჭლოდეს საბოლოომოდს «მოსვენებასა».

ვიპნც ჰამ ჰამონაჰწერს დაჰვეუკვირდება, ჰის ნაპთლად ღაპრწუმუნდება, რჰომ ბ.ნი მ. ქ. ყიჰ.ფიანი ჰყოფილა ჰარა მაჰრტო „დონისტი“, ჰარამედ „ჰან-დონისტი“ მისს ჰახალ ჰაჰრთულჰში ჰერთობ ჟჰხვად ჰარის ნაჰხმარი ჰასო „ჰანი“.

აღბათ დარღლეთი ხომ? ასე ძნელია ბატონგზო საზოგადო სამსახური და საზოგადო მოღვაწეობა ძნელია ის საზოგადოთ ყოველ დარგში და ძნელზედაც უძნელესია კერძოთ ჰართულ ღრამატიკის გღლევა ძიების სფერაში.

ჩავეყვით ქვევით.

„ამ ტომ გაცემოხარხე მკირე წერილგად გაჰბეღდვინო მასალა და შემდეგ, უკეთუ ხნიერებამ დამაჰცალა, დასრულებული შრომ: მთლად გამოვაჰქვევო“.

განჰზრახვა როგორც ჰხედავთ ჩინებუღლია და ყოჰველი ჩენჰგანი ჰუნდა ჰვეცადოჰს, რომ რაიჰმე დაჰხმარება ვაჰუწიოს ნოჰხუცგბუჰლ მვეღვეჰარს ჰხნიერებისა წინაშე*.)

ჩენი «გრამატიკა» ენის საკუთარ ბუნებას სუტად გვიჰჩენება და უკეჰო შეჰძლ და ბუნებრივს სახიერებას ჩენის ენისას, ცოტა არ იყოს, სინათლე**) მოგჰფინე ვიტყვი: „წენდა დიდებად, ჩემო დედა-ენაო“.

მართლაც, დიდება შენდა ღმერთო ჩენო, დიდება შენდა!.. ცხადია ჰართული ენის ოჯახში რაღაც დიდი ამბავი ხდება: „დონისტების“ რაჰმს უჯრთდება ახალი რაჰში „ჰანისტებისა“ და ეს ორი არჩია ერთი მეთაურის მ ქ. ყიფიანის წინამძღოლობით იერიშით მიდის „კორტოხს ვადაღმა“ „თანცეტების“ მეთაურ სილოვან ხუნდაძესთან საბრძოლველათ.

თუ „ხანმა“ დააცალა და „საბოლოოვოლო“ განჰსგენებას არ მისცა ჰართული ენის სიძველეთ ღირსეული წარმომადგენელი, ბრძოლა ერთობ სასტიკი და უღმობელი იქნება.

ვიცოცხლოთ და ვნახოთ!

ისტორიკოსი.

*) ჩენი რედაქცია იშუამდგომლებს ცნობილი კომერსანტის ი. ახოზაძის წინაშე, რომ მან უუფასოთ, ან ძლიერ დაკლებულ ფასებში დაუთქოს ბან ყიფიანს თავისი უებარი საშუალება გაახალგაზღვრობისა წოდებული „სპერმატინად“.

**) სინათლის რა მოგახსენოთ და „ჰან“-ები კი გასაოცარის სიუხვით არის მოფენილი. ესეც დიდი სამსახურია!

ფოუსტა.

ქასპი. წაღოტელს. ლექსებისათვის გმადლობთ, მაგრამ რომ არ გამოგვეგზავნათ უფრო მადლობელი ვიქნებოდით.

„ვარდა კოკობსა ამშვენებს
ბულბულის ტბილი გალობა...
მშვენით ეშლება სატრფოსა
ყლორტი კუჰურში არ დგება“.

სწორეთ ასე იცის ხოლმე მუხამაც: არას მამოჩვენობით არ დადგება თავში, უთუოდ უნდა გადმოფრინდეს იქიდან და რაკი გამოფრინდება, მერმე იკითხონ საბოლოო რედაქტორებმა.

თქვენი მეორე ლექსიც „ეკალი“ ვერ არის მაინცა და მაინც პოეტური:

„ვარდა გაფუჰქენილს ნახადა
მინდა მივაჰყრო მე თვალი,
მაგრამ გზას მიკრავს, არ მიშეგებს,
მწარედ მკებნავი ეკალი“.

აი გავსინჯოთ ეს კუბლეტი: თქვენ ვაქეთ სურველი კოკობ ვარდს თვალი მიაჰყროთ!.. ხომ? ეს ჩინებული და თანაც წმინდა პოეტური სურველია; მაგრამ წარმოიდგანეთ „გზას მიკრავს თურმე მკებნავი ეკალი“. შეიძლება ესეც პოეტური იყოს, მაგრამ ყოველად შეუძლებელია „თვალის მიჰყრობა“ დაუშალოს ეკალი. ხომ შეუძლებელია? გამოტყდით, რომ თქვენ მარტო „თვალის მიჰყრობა“ არ გდომებიათ! თქვენ აღბათ მოწყვეტა გინდოდა ვარდისა და ეკალია დაგიშალათ. თუ ეს ასეა, მაშინ „ეკლის“ ხათრისათვის ამ ლქესს ვერ დავებუდავთ.

სადმე. მ გუღბანდელს თქვენი „სხივის ძალი“ ისეთი ძლიერია, რომ მოყვარესაც თვალგებს დაუბნელებს.

„ნემ ჰარხედ ჩადრი ვადაიფარა,
სხივი ესროლა ცის დასავალსა;
დამაშვრალთ მხარემ თვალი დახუჭა
როცა შეხედა მგეს ჩამავალსა“.

ჩენ ძლიერ გამოცდილნი ვართ ლექსების კითხვაში და თქვენი ნაწარმოები ხან „თვალ-დახუჭულმა“ ხან „ჩადრ წამოსხმულმა“ წავიკითხეთ, მაგრამ ის მაინც ვერ გავიგეთ, თუ როცა მხემ „ჰირზე ჩადრი ჩამოიფარა“ სხივები როგორღა გასტყორცნა დასავალს ცისას.

„ზვი ნისლეზით მაღლა ზეცაში


მნათი მთოვარე დაბინდულია

და მის შემყურე ძირს ტყე-ბუჩქნარში

შაშვი მსტვინავი გატრუნულია“.

მსტვინავი შაშვის გატრუნვა მხოლოდ რჩეულ ნიქს შეუძლია, საზოგადოთ კი, გატრუნულია მაშინ იიტყვიან, როცა შაშვი (და პოეტიც) ჭაჩუმებულნი არიან.

ს ა დ ა რ ი ს ბ ო ლ თ ?



სენატორი. — ან საჩუქები | ან თუჩქესკანბა. | ან ვირეკორე...
 მოსკოვილ იევიზილა | კივილა, ვახაუვილა...

მ დ ი ნ ა რ ე შ ი .



- ვეზი რაყაყრუყოა!.. სჩანს წყაოთ იყოო!..

მ წ ე ზ ლ ო შ ა შ ი .



- შვითხველო თხჩიჯეშა! სჩანს წყაოთ იშაყა!

მამა და შვილები.

მამა. შვილებო, არ გსურთ დაჩაზე წასვლა?
შვილები: არ შეგვიძლია, მამილო, გაცვლა!
 აკი გვიყილა დედიკომ დაჩა, იი, შეხედე, ნამდვილი ბახჩა: ჩიტები გინდა თუ შწვანილები, ვაშლი, თუ მსხალი, თუ ჭვავილები, ყველა აქ არის ყველა აქ ხარობს, ნეტავი სხვაგან რა მიგაჩქარებს? არ შეგვიძლია ჯენ ამის გაცვლა, არ გინდა სხვაგან დაჩაზე წასვლა.





თფილისი, ვოლოკინის კროსკ. № 6, ტელეფონი № 481.

ხილულის სამკურნალო ფუალი

ე. ლალიძის და ამხ.